



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 43

2018 წლის 29 ივნისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე 15 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მოქალაქე იაშა თანდილავაზე პირდაპირი გზით, სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მასზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 15 კვ.მ მოახდინოს სოფელ სარფში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას პირდაპირი გზით არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.30.02.199.01/517) სარგებლობაში გადაცემა მოქალაქე იაშა თანდილავაზე.
2. დადგინდეს სოფელ სარფში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 15 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.30.02.199.01/517) წლიური საიჯარო თანხა 900 ლარის ოდენობით;
3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე